№ 72
შაბათი, 8 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 72
შაბათი, 8 აპრილი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა დესპინე გრიგოლის ასული წერეთლისა შვილე-ბითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **თავადის პაპუნა როსტომის ძის წერეთლისას** და სთხოვს მობრძანდნენ 13 აპრილს, დაბა საჩხერეში, საიდგანაც მიცვალებული გასვენებულ იქნება ჯრუჭის მონასტერში. (2—1150—2)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

## „ი ვ ე რ ი ა“
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
(15—5)

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

## ცოდვა სიყვარულისა.
(Crime d' amour)

რომანი პოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ. ფასი 70 კაპ.

—

მზადდება დასაბეჭდად მის-მიერვე თარგმნილი წვრილ-წვრილი მოთხრობანი ევროპის საუკეთესო ბელლეტრისტებისა: ალფ. დოდესი, გიუ დე-მოპასანისა, კატულ მენდესისა, ალექ. კილანდისა, მატილ. სერაოსი, ვიტტარიო ბერსეციოსი, ჯონ ვერგისა, ედმონდ დე-ამიჩისისა და სხვათა სიტყვა-კაზმულის მწერლობის ხელოვან ოსტატთა.
(5—1)

მსურს შევადგინო მეგიტარეთა ამხანაგობა და ამიტომ ვთხოვ მხოლოდ ყველა იმ ქართველთ, ვინც-კი გიტარაზედ დაკვრა იცის, მობრძანდეს ჩემთან ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად კვირას, 9 ამ თვისას, ნაშუადღევის 3 საათზედ.

ადრესი: ანჩხატის უბანი, პოლიციის ქუჩა № 27.

ააროn იანქოშვილი.
(2—უ.—2)

ქართული თეატრი
საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის
გადაიდო
ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.
წარმოდგენილი იქნება
**დანაშაული და სასჯელი**
დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.
(10—ნ.—6)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

## სამზარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაის შესანახავად.
**ფასი მანეთ ნახევარი.**

მაქვს **თანხა** და **სპეციალური ცოდნა სამეურნეო მრეწველობისა** და **ბაღოსნობისა.** ვეძებ მამულის მქონე კომპანიონს, მსურს ამხანაგობა შევადგინო. მსურველთ შეუძლიანთ „ივერიის“ რედაქციის ადრესზედ გამოჰგზავნონ წერილები.
(6—1015—4)

მოსამზადებელი სასწავლებელი
## ი. პ. როსტომაშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.
მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისას.

ქ. ფოთში
თეოფილაქტოვის კანტორაში
ისყიდება
**მარსელიის კრამიტი**
უპირველესის ხარისხისა
(5—1152—2)

## კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 8 აპრილი.

—

ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში მკითხველი შეხვდება საყურადღებო კორესპონდენციას დ. ლანჩხუთიდგან. კორესპონდენციაში მოთხრობილია შემაძრწუნებელი ამბავი ვიღაც ტუღუშის მოკვლისა. ამ ამბის ყოველი გარემოება და თვით ავაზაკობის შესრულება ისე საზარელია, რომ გასაკვირველი არ არის საზოგადოებისა და ხალხის აღელვება. ყველას კარგად გვესმის, რომ ამგვარის შემთხვევის გამო ხალხის დრტვინვა და აღელვება სამართლიანიც არის და საქებურიც. მაგრამ სრულიად არ გვესმის ამ ამბის ერთი გარემოება, რომელსაც გვსურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ ტუღუშის საზარელის მოკვლით აღელვებულმა ხალხმა ვიღაც „პრაპორშჩიკის“ ქორდანიას თაოსნობით სთხოვა გამომძიებელს —სამხედრო სამართლის წესით გაირჩეს ბრალდებულთა საქმეო. გამომძიებელს ურჩევია—მაგ თხოვნით მაზრის უფროსთან უნდა მიიქცეთო. გამომძიებლის რჩევისამებრ ხალხს მაზრის უფროსისათვის მიუცია თხოვნა და მაზრის უფროსიც დაჰპირებია—ვცისრულობ შუამდგომლობას მთავრობის წინაშეო.

ვიმეორებთ,—საკვირველი არ არის, რომ შეწუხებული ხალხი საზღვარს გადასცილებია, რომ თავისის აღელვებულის და შეშფოთებულის გრძნობის დასამშვიდებლად სასტიკობასაც იჩენს. მაგრამ საკვირველია—მეტი რომ არა ვსთქვათ—გამომძიებლის ყოფა-ქცევა ამ საქმეში. რუსეთის სამსჯავრო კანონ-მდებლობა საკმარისს საშუალებას იძლევა, რომ ყოველგვარს დანაშაულობას შესაფერისი სასჯელი დაედოს. ტუღუშის მკვლელთ იმგვარი სასჯელი მიენიჭებათ სისხლის სამართლის ძალით, რომ სრულიად საკმარისი იქნება ყოველის შეძრწუნებულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად. მაშ, რამ აიძულა გამომძიებელი, რომ უკანონო თხოვნას გამოსარჩლებია? მის მაგიერ, რომ აეხსნა ხალხისათვის—სამხედრო კანონით, საგანგებო, მტკიცედ აღნიშნული საქმეები ირჩევა მხოლოდ, გამომძიებელი უწონებს საქციელს და გზას უჩვენებს ხალხსა! სამხედრო გასამართლების წესი შემოღებულია მხოლოდ ომიანობის დროს, იმისთვის, რომ საჭიროება მოითხოვს ჩქარსა და სწრაფს განხილვას და გარდაწყვეტას საქმისას. გარდა ამისა, თუ ჩვენში ამ ჟამად შემოღებულია სამხედრო წესით ზოგიერთ საქმეთა გარჩევა—ჯერ ერთი ამ წესის ხმარება მტკიცედ აღნიშნულია კანონით, რაგვარი საგანგებო საქმეები ექვემდებარება და რა გვარი არა, შემდეგ ისიც ვიკითხოთ—ნუ თუ გამომძიებელმა დამოუკიდებელის, სწრაფისა და სამართლიანის *) დაწესებულების მოხელემ საგანგებო კანონის მხარე უნდა დაიკავოს?! შესაწუნარებელია იქნება კიდევ, როდესაც ადმინისტრაციის წევრი გამოდის რომელიმე საგანგებო კანონის მოსარჩლედ, მაგრამ რა უნდა ითქვას სასამართლოს იმ წევრზედ, რომელიც შეგნებულად ამცირებს სასამართლოს კომპეტენციას?!

საზოგადოდ, რუსეთში ამ ჟამად სხვა-და სხვა მიზეზის გამო ეგრედ წოდებულთ „ახალს სასამართლოებს“ გაჭირვების დღე დაადგა. ბევრს სურს და ბევრი მძლავრიც მოწადინებულია ეს სასამართლოები და 1864 წლის „სასამართლოს წესდებულება“ შეზღუდოს და შეამციროს. ამიტომ ყოველს წევრს ამ სასამართლოებისას ჰმართებს სასტიკად დაიცვას და დიდის ყურადღებით აასრულოს თავისი მოვალეობა იმ რიგსა და წესზედ, რომელიც დაუნიშნა და დაუსახა კანონმდებელმა.

კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში, სადაც ჯერ ჯერობით ხალხი ვერ შესჩვევია უცხო ქვეყნის კანონ-სჯულს, ყოველის შეგნებულის მოხელის ვალია—ფრთხილად იყოს და არ გადასცდეს კანონიერსა და სამართლიანს გზას. ამიტომ დიდ ზნეობრივ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს, თუ მოხელე გზა-კვალს უბნევს ხალხს და ჩვეულებრივ მკვლელობის გამო ხალხს ეუბნება, ადმინისტრაციას სთხოვეთო, რომ საქმე სამხედრო წესით გაირჩესო! სხვა რომ არა იყოს-რა, ის რად არ იფიქრა გამომძიებელმა, რომ ის გზა, რომელსაც ის დასდგომია, ძლიერ საშიშია! სად არის გარანტია, რომ ხალხი დაკმაყოფილდება შემდეგში სამხედრო სასამართლოთი?!.

თუ დღეს, ჩვეულებრივის მკვლელობისათვის ხალხი სამხედრო წესს თხოულობს და ადმინისტრაციის და სასამართლოს წარმოამდგენელნი ამას უწონებენ, ხვალ რომ ამ ხალხმა რომელიმე შემთხვევის გამო ლინჩის წესს მიჰმართოს—ვინ იქნება დანაშაული?

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ წინადაც და უმეტესად ამ უკანასკნელს დროს, ერთი ახი-

*) იმპერატორის ალექსანდრე II მანიფესტიდგან.

რებული გარემოება დამკვიდრდა ჩვენში. ადმინისტრაციის, სასამართლოს, სასკოლოსი და სხვა დაწესებულებათა მოხელენი იმის მაგიერ, რომ თავისის მოვალეობის აღსრულების დროს იხელმძღვანელონ მხოლოდ თავთავიანთის საქმის გარემოებით, სრულიად სხვა მოსაზრებას—მაგალითად პოლიტიკურს—მიჰმართავენ ხოლმე და მით საზოგადო, სახელმწიფო საქმეს აფუჭებენ და ჰრყვნიან.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

*** ამ მოკლე ხანში პეტერბურგს მიდის სარკინის გზო ტელეგრაფის უფროსი ინჟენერი ბ-ნი ბალიუკევიჩი მის მიერვე გამოგონილის ტელეფონ-ქეზლის რკინის გზაზედ შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. ტელეფონ-ქეზლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ცხლა მატარებლების მიმოსვლას ტელეგრაფით ატყობინებენ ხოლმე; მაშინ-კი, როდესაც ეს ტელეფონ-ქეზლი შემოღებული იქმნება, ეს შეასრულებს ტელეგრაფის მაგიერობას და ტელეგრაფის მოხელეთა მაგიერობასაც თვით სადგურის უფროსები და იმათი თანაშემწენი შეასრულებენ, ტელეგრაფი-კი მხოლოდ კერძო დეპეშიათავის იქმნება და მაშასადამე შემცირდება ტელეგრაფის მოხელეთა შტატიც.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „კვალის“ გამოცემა ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა (ინგოროყვასი) ავტორის სურათით და მისი ბიოგრაფია, შედგენილი გ. წერეთლის მიერ. წიგნი შეიცავს მოკლე ბიოგრაფიას ბელეტრისტისას. წიგნშია მოთავსებული მოთხრობები „განკარგულება“ და „მონადირე“; ღირს ორი შაური.

*** მივიღეთ განსვენებულის პოეტიმ რაფფის ერთი მოთხრობა სომხურს ენაზე „ვინ იყო ბრალდებული“, რომელსაც უძღვნის გერმანიის სომეხ მოსწავლეთ. წიგნი დაბეჭდილია ტფილისში ა. მელიქ-შახნაზაროვის სტამბაში, შეიცავს 92 გვერდს და ღირს 20 კაპიკი.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია კავკასიონის მთაზედ გზის გაყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად პეტერბურგში გაუწვევიათ გზათა უფროსი ბ. ი. სტატკოვსკი, კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ე. დ. ზლოტნიცკი და ინჟენერი კრულიკევიჩი.

*** ოთხშაბათს, 5 აპრილს, პასტერისეულ ბაქტერიოლოგიურს სადგურში ახალ ბუხარიდგან ოთხი ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილი კაცი მოუყვანიათ.

*** მთაწმიდის მწვერვალზედ შარშან დაარსებულს რესტორან „განდეგილში“, რომელიც ამ ზამთარში დაკეტილი იყო, აღდგომას, ორს აპრილს, ხელახლად დაუწყიათ ვაჭრობა. როგორც გვითხრეს, ამ რესტორანის პატრონს ბ-ნ ივანე ქაჯაიას ძალიან დიდი ხარჯი გაუწევია წელს იმისთვის, რომ რესტორანი, ანუ უკეთა ვსთქვათ, „ბუფეტი“ ბევრად უფრო გაუმჯობესებული იყოს შარშანდელზედ. აგრეთვე ყოველისავე წესრიგის დასაცველად ტფილისის მაზრის უფროსს თ. ლევან ჯანდიერს დარაჯი დაუყენებია.

*** თერგის მხრის უფროსს დეპეშით უცნობებია ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ განკარგულება მოავხდინე მსხვილ ფეხა საქონელი ტფილისის გუბერნიიდგან თერგის მხარეს მხოლოდ კავკავის გზით შემოირეკოსო, რომ უფრო ადვილი იყოს ამ საქონლის გაჩხრეკა და ავადმყოფის გამორჩევაო. ამისათვის დანიშნულია მხოლოდ ალაგირის ხეობა, ბოთლიხისა და ვედენოს გზები, სხვა გზით საქონელს არ გაატარებენ; აქაც მაშინ გაუშვებენ თერგის მხარეს მიმავალს საქონელს, თუ მსხვილ-ფეხა საქონელი 21 დღის კარანტინს გამოივლის და ცხვარი-კი 10 დღისას. სხვა გზები ტფილისის გუბერნიიდგან თერგის მხარესაკენ მიმავალი შეკრულია თურმე და ამისათვის ყარაულებიც დაუყენებიათ.

ტფილისის გუბერნატორმა ეს ამბავი ყველა მაზრის უფროსს შეატყობინა თვისს გუბერნიაში და დაავალა, ყოველივე ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ მცხოვრებლებს, რომ ამ თავითვე იცოდნენ, რა წესიც დაუდგენია თერგის ოლქის უფროსსა მსხვილ-ფეხა საქონლისა და ცხვარის გარეკვის შესახებ ტფილისის გუბერნიიდგან თერგის მხარესაკენ. განსაკუთრებითი ყურადღება ამ განკარგულებაზედ ტფილისის გუბერნატორს მიუქცევია თიონეთისა, დუშეთისა და გორის მაზრების უფროსებისა, საიდამაც უფრო ეტანებიან თურმე საქონლის პატრონნი თერგის მხარესა, რადგან იქით უფრო ეადვილებათ საქონლის გარეკვა შესანახად, ვიდრე აქეთკენ.

*** დღესასწაულებმა ჩვეულებრივად უხიფათოდ ვერ ჩაიარეს. დღესასწაულის პირველსავე დღეს ვიღაც ორს მთვრალს სომეხს მუშას მანთაშევისა და წოვიანოვის ქარხნების ახლო ჩხუბი მოუვიდათ ერთ სპარსელთან, სულ რაღაცა უბრალო საქმეზედ. ეს წაჩხუბება უთუოდ ცემითა და პოლიციაში ჩამწყვდევით გათავდებოდა; მაგრამ საქმემ სხვანაირი ხასიათი მიიღო: სომხები სომხებს წაექომაგნენ, სპარსელს სპარსელნი, დაუწყეს ცემა, რითაც მოჰხვდათ—მუშტით, კეტით, ქვით და სხ., ერთს თავი გაუტეხეს, მეორეს სახე დაუსახიჩრეს... ხალხი-კი თან-და-თან მატულობდა, ვიდრე ვიღაც აბელ-იმამ-კული-ოღლიმ რევოლვერის სროლა არ დაიწყო. ხალხი მხოლოდ ეხლა-ღა ჩამოეცალა და ოთახში დაკეტილს აბელ-იმამ-კული-ოღლის ქვების სროლა დაუწყო.

აღმოჩნდა შემდეგ, რომ მოეკლათ (სტეფანე დავიდოვი), ერთი სუმბუქად დაჭრილი გამოდგა ხელში, სამი სპარსელი და ორი სომეხი მძიმედ იყვნენ ქვებით დაჩეჩქვილნი.

აბელ-იმამ-კული-ოღლი, რომელმაც რევოლვერი იხმარა, მაშინვე დაიჭირეს. დაშავებულთ სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს („ნოვ. ობოზ.“).

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, სასჯულო მინისტრს ტ. ს. ნ. ვ. მურავევს 6 მაისს ელიან ტფილისში; ამ დროსთვის სენატორი ა. ფ. კონი უკვე გაათავებს ტფილისის სასამართლო დაწესებულებათა რევიზიას („ნოვ. ობოზ.“).

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ინჟენერ პუშეჩკინოვის ახალს თანამდებობაზედ დანიშვნისა გარდა კავკასიის რკინის გზის ბევრი მოხელეთაგანი ციმბირში იქმნება გადაყვანილი; ამ რიგად აწინდელი რკინის გზის ადმინისტრაცია ახლო მომავალში თითქმის სრულიად გამოიცვლებაო.

*** სიღნაღი: 30 მარტს ღამით ბ ნ სიღნაღის მაზრის ექიმის სახლიდგან, რომელიც აფთიაქის მაღლა არის, მოჰპარეს ქურდებმა ქურქი, ნაბადი, წამოსასხამი შალი, ხალიჩა, იქვე აფთიაქის ეზოდგან სპილენძეული და სხვა, რაც-კი გარედ დარჩომოდათ აივანზედ, ღირებული თხუთმეტ თუმნამდის.

## კორესპონდენცია.

—

**დ. ლანჩხუთი.** ჩვენში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა, რომელმაც აალელვა და აალაპარაკა მთელი ლანჩხუთის საზოგადოება... სოფელ ძიმითში სცხოვრობს ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი. ამ დედაკაცმა დაისიძევა მარტოხელი და მხნე დათიკა ტულუში. ახლად ჯვარ-დაწერილები ერთ ხანს კარგად სცხოვრობდნენ, მაგრამ მალე ხმა გავრცელდა, რომ დათიკა ტულუშის ცოლი სხვას ჰყვარობსო. გულ ნატკენი ქმარი ეხვეწებოდა ცოლს, თავი დაენებებინა ცუდის საქციელისთვის, მაგრამ ქალი არ უგონებდა. ერთს დღეს გაექცა კიდეც თავისს ქმარს, ჩამოვიდა დ. ლანჩხუთში, დაიქირავა ერთი ხის დუქანი, დაიდგა ხაკერავი მაშინა და თავისით დაიწყო ცხოვრება, რასაკვირველია, მალე მეგობრებიც იშოვა, სხვათა შორის, აქვე ვაჭრობდა მისი საყვარელი—სილოვან ბარამიძეც. საბრალო დათიკა ტულუში ბევრს ეცადა, ცოლი შეერიგებინა, მაგრამ ამაოდ. 24 ქრისტიშობის თვიდგან დათიკა ტულუში სადღაც დაიკარგა. ხალხში ხმა გავარდა, რომ უთუოდ მკვდარი იქნებაო. დათიკას ბიძამ, გიტულა ტულუშმა ყოველგვარი ღონის-ძიება იხმარა, რომ ან მკვდარი და ან ცოცხალი ეპოვნათ. არც ბოქაული და მამასახლისი იყვნენ მოსვენებულნი.... ბევრი ძიებაჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დათიკა ტულუში მოუკლავთ, წაუღიათ და ლანჩხუთზედ რვა ვერსზედ მოშორებით ტყეში დაუმარხნიათ. ტულუშის მკვლელი რამდენიმე კაცი ყოფილა და მათ შორის აზნ. ასლან ბოლქვაძეცა, რომელიც გამოუტყდა ადგილობრივს ბოქაულს. მიცვალებული ლანჩხუთში მოასვენეს და დამნაშავენი ყველა დაააპატიმრეს. საზარელი სანახავი იყო. მკლავები დამტვრეული ჰქონდა და რევოლვერით ორგან იყო დაჭრილი. ხალხი საშინლად აალელვა ამ სანახაობამ და აზ. კოდრატე ჟორდანიას მეთაურობით ითხოვა გამომძიებელთან, რომ დამნაშავენი სამხედრო სამართლით დაესაჯათ და სწორედ იმ ადგილას დაერჩოთ, სადაც ტულუში იყო დამარხული. გამომძიებელმა ურჩია ხალხს, რომ თხოვნა დაეწერათ და მაზრის უფროსისათვის ეთხოვნათ შუამდგომლობა. ხალხმა დიდის სიამოვნებით აღასრულა გამომძიებლის რჩევა და მაზრის უფროსს დაუყოვნებლივ მიართვა თხოვნა. მაზრის უფროსიც შუამდგომლობს.

ივლიანე ბეჟანის ძე მგელაძე.

(ორიგინალს ლანჩხუთის საზოგადოების მამასახლისის ბეჭედი აზის.)

## შავი ფიქრები.

—

ჩემო ტანჯულო გონებავ,
გამხნევდი მოდი ცნობასა,
ტანჯულთა თანა უგრძნევი,
რომ გიკურთხებდნენ გრძნობასა,
რომ ერი აღიარებდეს
სიმართლით შენსა ძმობასა,
ნუგეში ჰირსა სჭირია
და წყევა-კრულვა მტრობისა;
ნუთუ არ იცი, რა რიგად
იტანჯვის ჩვენი ძამია!?
შველაა მისთვის საჭირო,
შემოიკრიფე ძალია,
თუ გინდ შეგასვან ნაღველი,
მოგწამლონ, წაგცხონ შხამია,
მაინცა ვიყვნეთ ფხიზლათა,
დრო ამბობს: „თქენი ვალია“!

—

კაცს რიგზედ შრომა, ოფლის ღვრა,
უმატებს ღონე, ძალასა,
მახვილობასა უმატებს
ლესვა დაჩლუნგულს დანასა;
კაცსა შრომაში სოფელი,
არ აკლებს თვისსა ლალასა,
თუ გრძნობით ამოქმედებდა
კალამს, ქაფჩას, თუ მალასა.

—

მაშ შენ რისათვის შემდგარხარ,
ჩემო ტანჯულო გონება,
ნუთუ საწუთროს ამბავი
შენ არა გაგეგონება?
მაშ მოდი, ისევ ვიშრომოთ
დავთრგუნოთ ქვეყნად მონება,
არ უნდა ჰქონდეს შიში მას,
ვისაც ჰსურს გზისა ფონება.
ჩაგვრა, წამება და შური
ერს მისცემია წესადა,
ვეცადნეთ მისსა მოსპობას,
თავსა დავეცნეთ მეხადა;
მტერს დავავიწყოთ კბილთ ღრჭენა,
ჩაგრულს ვუშველოთ ძმურადა,
და მჩაგვრელთ მოქმედებანი
არა ვყოთ დაფარულადა

დ. ნინოწმინდელი.

## აჭარა

(შემდეგი *)

22, ქედა. 25 კომლი. გადასახლდა რამდენიმე კომლი. ვახუშტი შეჰნიშნავს, რომ ძველად აქ სავაჭრო დაბა თუ ქალაქი იყოო. ეს დღესაც ისეა, მხოლოდ ძლიერ მცირე დუქნებია. სულ იქმნება 15 დუქანი, ესენიც პარასკევობით იღება ხოლმე, როცა ამათი კვირა დღეა და ბაზრობა იცის, სოფლებიდგან ხალხი იკრიბება. ვაჭრებშიაც ნახევარზედ მეტიართვინის კათოლიკენი არიან, აჭარელნი ვაჭრობას აქ ერთობ იშვიათად ეკიდებიან. ძველად აქ ყოფილა დიდი საყდარი; ეს საყდარი დაუქცევიათ და ზედ ჯამე გაუკეთებიათ, მერე აქაც მოუშლიათ ჯამე და სხვაგან გადაუტანიათ. დღევანდლამდე აქ სჩანს ქვევრები, ღვინის საწნახლები. აქ გათათრების, შემდეგ ფეხი გაიმაგრეს ქართველთ მაჰმადიანთ ბეგთ თავდგერიძეებმა. თავდგერიძეებთა გათათრება დიდი ხანი არ არის, ქობულეთის დაჭერის და გათათრების დროს ოსმალებმა თავდგერიძეებს ბეგობა მისცეს და აჭარაში გააძლიერეს, აქამდის აჭარაში მძლავრობდნენ ბეჟანიძეები, ანუ ძველად პირმსახურის ძენი. ბეჟანიძეებს და თავდგერიძეებს შორის ერთს დროს ომი და ოდიგარიც ასტყდა, ბეჟანიძეები თავდგერიძეებს აჭარაში უფლების ნებას არ აძლევდნენ. აჭარა ბათუმის კაიმაკანს დაუმორჩილეს 1851 წ.

ქედის ჯამეს გვერდით ხოჯა სურმანიძეს ქართველ მოლების აღსაზრდელად სკოლა აქვს და 15-მდე ქართველ მოლებს ზრდის. ხოჯმა მოლებმა ქართული წერა-კითხვა დაისწავლა, სამწუხაროდ თვითონ სურმანიძემ-კი არ იცის ქართული წერა-კითხვა, თუმცა თავისს სამშობლო ენად ქართულს ენას აღიარებს, მაგრამ ქართველები-კი მაინც სძულს. 1893 წ. ამან ქედის სამმართველოში ერთს კაცს უჩივლა, რომ მე ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა და ვითხოვ იმისს დასჯასაო. რაღა ფიქრი უნდა მას, თუ ეს თავისს მოწაფე მოლებში რა აზრებს განავრცელებს და რაფერ აღზრდის ამათ. ამ ხოჯამ თავიანთი გვართ შთამოების ცნობაც იცის. სურმანიძეები საბერძნეთის სურმანოდამ მოსულან საქართველოშიო, ჯერ გაქართველებულანო და სურმანიძე უწოდებიათ ქართველთ და მერე გათათრებულანო. ქედაში სცხოვრებს პატივცემული დუპამ ბეგი შარვაშიძე, რომელიც მთელს ქართველს მაჰმადიანებში პირველ კაცად უნდა ჩაითვალოს, როგორც უფროსი გამგე აჭარისა და მასთანვე ბუნებით ჭკვიანი, შორს-მხედველი, სიმართლის მოყვარე და განათლების პატივისმცემელი, ესა და ამისი ძმები თავიანთს შვილებს განათლებას აძლევენ და იმედია, რომ ესენი სამაგალითოდ გახდებიან მთელს აჭარაში. ამ პირს გარდა აქვე სცხოვრობს ბ-ნი სვიმონ იოსელიანი, რომელსაც დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ამ მხრის ხალხზედ და ნამეტურ ქართულის წიგნების გავრცელების თანაგრძნობისთვის, რომელიც მან აღმომიჩინა მე.

ქედის გვერდით, აღმოსავლით, მხარმარჯვნივ შეჰყვება ერთი დიდი ხეობა, რომელსაც მერისის ხეობა ეწოდება. ამ ხეობის ერთი მხარე მაჭახლისკენ გადადის და მეორე—შავშეთისკენ მიემართება. მერისის ხეობა ბევრად უმჯობესია თვით აჭარაზედ. ორსავე მხარეს მაღალი ტყიანი მთები აქვს, ზოგ ალაგას ვაკენი, მაგრამ ყოველთვის მწვანით მოსილნი, ყველაფრის ხეები მრავალი, ჰავა კარგი, წყაროები ბევრი და შუაზედ კიდევ ერთი სწრაფად მიმდინარე მერისის ღელე. სწორედ მშვენიერობა არის ეს ხეობა, კაცი ვერ გაძღება მისის მაღალთა მთათა მზერით და ჰაერის სისუფთავით. ორსავ კუთხივ ამ ხეობაზედ გაფენილია ქართველ-მაჰმადიანთ სოფლები, ენა ქართულია, ზნე-ჩვეულება, ცხოვრების წესები ქართული, ტირილი, სიმღერა, ხმაურობა და სხვებიც ქართული, ერთად-ერთი სარწმუნოება აქვთ მაჰმადისა და ჯამეები და ხოჯები ჰყავთ. ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული ლაპარაკი. აქ უფრო დაცემულია თათრული ენა, არავინ არაფერი იცის. მაშ აქედამ ჩვენ სოფლების აღწერას შევუდგებით.

23, მერისი. მეტად მშვენიერი სოფელია, ამ ხეობის ყველა სოფლებზედ გამოჩენილი. 100 კომლია. მე-

*) ნახე „ივერია“ 69 №.

ტიც იქმნება. ნასაყდრალზედ ჯამე სდგას. აქაურნი მებატონენი ძველად გოგორისშვილი და ჭინკაძენი ყოფილან. ძველად გლეხნი, მაგრამ ოსმალთაგან აღიობა მიუღიათ, რადგანაც ესენი ერთობ ადვილად გათათრებულან და ოსმალთათვისაც დიდი ერთგულება და დახმარება აღმოუჩენიათ. მერისის გათათრების შესახებ აჭარელნი ამბობენ, რომ მერისელნი ერთობ გვიან გათათრდნენო. აქ გათათრების წინად 700 კომლი ყოფილა, გათათრების დროს ამათ სასტიკად უბრძოლიათ და ბრძოლაში 700 კომლი მთლად გამწყდარან. გადარჩენილან მხოლოდ ექვსნი ძმანი ცეცხლაძეები, რომლებიც გაჭირების მეოხებით გათათრებულან. აქ რამდენიმე პირთ ქართული კითხვაც შეისწავლეს, თათრულიც იციან, ხის ჯამე აქვთ, ხოჯა ჰყავთ და ხოჯას სკოლა აქვს.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

## რამდენიმე სიტყვა ბ-ნ მათურელის შენიშვნის გამო ინგილოებზედ.

გაზეთ „ივერიის“ ამ წლის 60-ე №-ში იყო დაბეჭდილი მცირე შენიშვნა ბ. მათურელისა ს. ალიბეგლოდან ინგილოებზედ. ამ შენიშვნაში მათურელი აცხადებს ორს უმთავრესს აზრს; ჯერ იგი გვიწერს ინგილოების უბედურს მდგომარეობას, რომ უმეტესი ნაწილი ამ ხალხისა მაჰმადის სარწმუნოებისაა და ამის გამო მას ნელ-ნელა სამშობლო ენა ეკარგება. მეორედ მათურელი კითხვითის ნიშნით (ანუ ხმით) აცხადებს იმ აზრს, რომ აქამდის ქრისტეს სჯულს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ინგილოების უბედურებას გულ-შემატკივარი კაცი არ გამოსჩენია და არც უჩანსო.

პირველი აზრი ბ. მათურელისა —რომ უმეტესობა ინგილოებისა უბედურს მდგომარეობაში იმყოფება— არის მართალი, ამ საგანზედ მრავალჯერა ყოფილა ნათქვამი მწერლობაში, ინგილოების უბედური მდგომარეობა აუწერიათ სხვა-და-სხვა პირთ ქართულსა და რუსულს ჟურნალ-გაზეთებში, უფრო საფუძვლიანად აუწერიათ თვით ინგილოებსავე, მღვდელ დიმიტრისა და მოსე ჯანაშვილებს.

მეორე მსჯელობა ბ. მათურელისა, ე. ი. რომ ინგილოებს გულ-შემატკივარი კაცი არ გამოსჩენია და არც უჩანს, არ არის სამართლიანი: ინგილოებს ჰყოლიათ და ჰყავთ კიდეც გულ-შემატკივარი კაცები, რომლებიც შეძლებისა დაგვარად სცდილობენ ამათის სიკეთისათვის, მათ ქრისტეს სჯულისადმი მოქცევისათვის. ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას ზაქათალის ოლქისთვის ჰყავს 1886 წლიდგან მისსიონერი, რომლის მოვალეობას შეადგენს მეცადინეობა გამაჰმადიანებულის ინგილოების მონათვლისა და მონათლულ ინგილოების ქრისტიანობაზედ დამკვიდრებისათვის. 1886 წელს ზაქათალის ოლქის მისსიონერად იყო მღვდელი დ. ჯანაშვილი; ნუ თუ იგი არ იყო გულ-შემატკივარი ინგილოებისათვის? 1887-1894 წლამდის ზემოხსენებულ ოლქის მისსიონერი იყო არქიმანდრიტი ლეონიდი; ნუ თუ არ იყო გულშემატკივარი ინგილოებისთვის მ. ლეონიდი? გკითხავთ თქვენ ბ. მათურელო! განა ეს მისსიონერები არა სცდილობდნენ მაჰმადიან ინგილოებისათვის, მათ ქრისტეს სჯულზედ მოქცევისათვის? ეს ორი თვე იქნება, რაც სასულიერო მთავრობამ ზაქათალის ოლქის მისსიონერად და სკოლების ინსპექტორად დაამტკიცა ბ. ტარასი ივანიცკი. ახალი მისსიონერი არის ზაქათალის ოლქის სოფელ კახის მცხოვრები, მღვდლის შვილი, რომელიც მონათვლამდის იყო შამილის მიურიდი და მოლლა ზაქათალისავე ოლქში. ტფილისის სემინარიაში კურს შესრულების შემდეგ სტუდენტის ხარისხით ბ. ივანიცკი მთავრობამ გაგზავნა ყაზანის აკადემიაში სამისსიონერო საქმის სპეციალურად შესასწავლად. 1894 წ. მან ღირსეულად შეასრულა აკადემიის სამისსიონერო კურსები და დაბრუნების შემდეგ გამწესდა ჩვენის ოლქის მისსიონერად. როგორც ზაქათალისავე ოლქის მცხოვრებმა და ყაზანის აკადემიაში სამისსიონერო საქმის შემსწავლელმა ბ. ივანიცკიმ იცის აქაურ ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ენები: გარდა ქართულისა და რუსულისა თათრული და არაბული, აგრეთვე მუსულმანური ღვთის-მეტყველებაც, ყორანი და სხვა. მაშასადამე ინგილოებისთვის ზაქათალის ოლქში გაუმწესებია კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებას მისსიონერად ყოვლის მხრივ შესაფერი კაცი. აგერ ახალი მისსიონერი კიდეც დაიარება მაჰმადიან ინგილოს სოფლებში და ჰქადაგებს იქ ქრისტეს სჯულს. ამ მოკლე ხანში მისსიონერი ბ. ივანიცკი ყოფილა სხვა-და-სხვა მუსულმან ინგილოს სოფლებში. სოფელ ყორაღანში მისსიონერთან ერთად იყო ინგილოთ ბლაღოჩინიც ოქროპირიძე. ამ სოფელში ერი წილი ინგილოებისა ქრისტიანია და მეორე მუსულმანი. ახალმა მისსიონერმა და ბლაღოჩინმა მეჩეთის ეზოში აუხსნეს ხალხს ქრისტიანობრივი სწავლა და დაარიგეს იქ მყოფნი კეთილს გზაზედ. მოლლებმა და ეფენდებმა შეიტყეს, რომ ახალმა მისსიონერმა იმათი ყორანი კარგად იცის, ამიტომ ისინი მიიმალნენ და ვერ გაბედეს მისსიონერთან ბაასი სარწმუნოებაზედ. გარდა ამ კეთილის საქმისა ახალმა მისსიონერმა ამ მოკლე ხანში სხვა სიკეთეც შესძინა საზოგადო საქმეს. ამის მეცადინეობით ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ გახსნა სოფელს კახში სამისსიონერო ბიბლიოთეკა, რომლის ზედამხედველადაც დაინიშნა მისსიონერივე. ბიბლიოთეკა საყოველთაოა მთელის ოლქის მღვდლებისა და მასწავლებლებისათვის. შეიძლება ბ. მათურელს ჯერ არ შეეტყოს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან ზაქთლის მაზრისათვის განსაკუთრებითის მისსიონერის დანიშვნა, რადგანაც ერთი თვე თუ იქნება, რაც ბ. ივანიცკი იქმნა დამტკიცებული ამ თანამდებობაზედ. მაგრამ ის ხომ უნდა იცოდეს ბ. მათურელმა, რომ ამას წინად ზაქათალის მაზრაში მოღვაწეობდნენ მისსიონერები: მღვდელი დ. ჯანაშვილი და არქიმანდრიტი ლეონიდი!

ჩვენის აზრით ამნაირი შენიშვნა ბ. მათურელისა არის უალაგო, უსამართლო: ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ზაქათალის მაზრაში ინგილოთათვის მთავრობისაგან ინიშნებიან მისსიონერები, რომლებიც შეძლებისა დაგვარად მეცადინეობენ დასთესონ სიკეთე მაჰმადიან ინგილოებში. ამას ჩვენ უნდა დავუმატოთ შემდეგი: ნუთუ მარტო მისსიონერებს მოეთხოვებათ გულ-შემატკივრობა ინგილოთ უბედურებაში?

ნუთუ მარტო ამათ უნდა მოუტანონ სიკეთე ხალხს? „სამარცხვინოკი იქნება, რომ ვინმე ინგლისელ ან გერმანელ მისსიონერმა შეისწავლოს ქართული ენა და დაიწყოს მოღვაწეობა ამ თითქმის ჩვენთვის დაკარგულს ერში“, ე. ი. ინგილოებში, ღაღადებს ბ. მათურელი. თქვენ ხომ იცით ქართული ენა და ინგილოებშივე სცხოვრობთ, ბ. მათურელო, რატომ არ გაივლით ხოლმე გამაჰმადიანებულ ინგილოს სოფლებისკენ და არ ჰქადაგებთ იქ ქრისტეს სჯულს, ჭეშმარიტებას? თუ ბევრჯელ არა, ერთხელ მაინც გაისეირნეთ ინგილოს სოფლებისკენ, რომ ადგილობრივ შეიტყოთ მათი ავ-კარგიანობა, ზნე-ჩვეულება და რაიმე სარგებლობა მოუტანოთ. როდესაც გამაჰმადიანებულს ინგილოებს ახლო გაიცნობთ *), მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რა ძნელია მათი სწორე გზაზედ დაყენება. დარწმუნდებით, რომ მისსიონერების გარდა ბევრი სხვა ზომებია საჭირო მოჰხმარდეს ზაქათლის ოლქში, რომ ქრისტიანობას მალე ეშველოს. ამ საშუალებაზედ მრავალჯერ უსაუბრნიათ და კიდევაც საუბრობენ, ვისთანაც ჯერ არს, მაგრამ ვინ იცის რა იქნება მომავალში. ჩვენ აქ უალაგოდ ვრაცხთ მოვიხსენოთ ის მიზეზები, რომლების გამოც ქრისტიანობის აღდგენა ინგილოებში ან მთელს ზაქათალის ოლქში შეჩერებულა, ანუ მძიმედ მიმდინარეობს.

რომ სხვა-და-სხვა მიზეზები უშლიან ინგილოებს და სხვებს ზაქათლის მაზრაში ქრისტიანობის მიღებას და არა გულ-შემატკივარ კაცის უქონლობა. ინგილოთათვის, ესა მტკიცდება შემდეგის ცხადის საბუთით: 1822, 50 და 51 წლებში, როდესაც შიშიანობა, შამილობა იყო და კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება და მისსიონერები არ იყვნენ, ინგილოები თითონა სთხოვდნენ მთავრობას, რომ იგინი მოენათლათ, ეხლა-კი, როდესაც მშვიდობიანობაა, ქრისტიანების დევნას ვეღარა ჰბედავენ ლეკები, ინგილოები ისე აღარა ზრუნავენ ქრისტიანობის სარწმუნოების მიღებასა, თუმცა მისსიონერები ცდილობენ ამათ მონათვლას.

ქურმუხი.

*) ბ. მათურელი ოთხიოდე თვეა, რაც საინგილოში (ს. ალიბეგლოში) სცხოვრობს და გამაჰმადიანებულ ინგილოს სოფლებთან ჯერ კავშირი არა ჰქონია.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პრეზიდენტის სახელი თან-და-თან პატივითა და დიდებით იხსენიება საფრანგეთის მუშათა შორის. იმ ხმას, რომ ფორი ერთს დროს უბრალო მუშა ყოფილა და მარტო თავისის შრომისა და პირადის ღირსების მეოხებით გზა გაიკაფა თვით ელისეის სასახლემდისო, აღტაცებაში მოჰყავს მუშათა უბნები. როდესაც ფორი მუშათა კვარტალებში გაივლის ხოლმე, დიდს თანაგრძნობას პოულობს. მაგალითად დიდის აღტაცებით და აღფრთოვანებით მოისმინეს ფორის სიტყვა, რომელიც მან სენტ-ანტუანის სადურგლო სასწავლებლის გახსნის დროს წარმოსთქვა. ის სიტყვები, რომ „დემოკრატიულს ქვეყანაში ყოველს პატიოსანსა და მშრომელს კაცს შეუძლიან დიდი თანამდებობა მიიღოსო“, ხელის-ხელ საგოგმანებელი გახდა ყველასთვის და ყველას პირზედ აკერია. დიდის ამბით მიეგებნენ პრეზიდენტსაო ამბობს გაზეთი „Jour“-ი, მიეგებნენ ისე, როგორც ეგებებიან ხოლმე გვირგვინოსანთაო. თითოეულს ფანჯარაზედ ბაირაღები გამოჰფინეს. და კამარა შეკრული კარებები გააკეთესო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

ოკლენდის მიდამოში ერთი შესანიშნავი კაცი ყოფილა, რომელიც განგებ ჯანმრთელობისათვის დედიშობილა დაიარება თურმე. ეს კაცი არის ედუარდ შმიდტი. ეს ოცი წელიწადი მეტია, რაც ეს კაცი მარტო უბრალო ქამარს და კალენკორის შარვალს ატარებს. ქამარზედ ჩამოკიდებული აქვს გრძელი ხანჯალი და გარუჯულს ხელებში ვინჩესტერის თოფი უჭირავს. ეს ტიტველა ბუმბერაზი კაცი შეერთებულ შტატების სამხედრო დეპარტამენტის სამსახურშია. სიმაღლით 6 ადლი და 3 გოჯია, სიმძიმით-კი—200 გირვანქა. ედუარდ შმიდტს მინდობილი აქვს ოკლენდის გემების სასადილოს არხის გაყვანა და გასუფთავება. როცა ჰკითხავენ ხოლმე, რატომ ტანისამოსს არ ატარებო, იგი უპასუხებს: „მე მედიცინას ვსწავლობდი და ამხანაგები მეუბნებოდნენ, რომ სუსტი ფილტვები გაქვსო. ხოლო, როდესაც ზღვაზედ წავედი, მარწმუნებდნენ, რომ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო. ცხელს ქვეყნებში იძულებული ვიყავ, თითქმის ტიტველას მევლო და შევნიშნე, რომ, როცა ტანისამოსს არ ვატარებდი, უფრო კარგად ვგრძნობდი თავსა, ხოლო როცა ტანისამოსს ჩავიცვამდი ხოლმე, მაშინ-კი სული მეხუთებოდა. ერთის წლის შემდეგ ცეცხლის ქვეყანაში მომიხდა გემით წასვლა და ვნახე, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები სულ დედიშობილნი დადიოდნენ. უფრო მეტის-მეტი ჯან-საღი იყო. მაშინ-კი შევიგნე ჯან-მრთელობის საიდუმლოება და მეც ტანისამოსს აღარ ვატარებო.“

შმიდტს ცოლი და ოთხი შვილი ჰყავს. ცოლი თუმცა ტიტველა არ დადის, მაგრამ სულითა და გულით თანაუგრძნობს თავისის ქმრის აზრებს. შვილებიც თავისუფლად ჰყავს ჩაცმული და ჯერ არც ექიმი და არც წამალი არ დასჭირებია შმიდტის ოჯახობას.

## თეატრის მატიანე.

გუშინ-წინ მალოროსიულმა დასმა ბანკის თეატრში წარმოადგინა კროპივნიცკის დრამა „ტყვეები“. როგორც წინად, ისე ახლაც დასმა ხელოვნურად შეასრულა პიესა და საზოგადოება მეტად ასიამოვნა. თითქმის ყველა საგალობელი საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქმნა. როგორც წარსულს წარმოდგენებში, ისე ახლაც საზოგადოების უმთავრესი ყურადღება მიიქციეს ქ-ნმა ზარნიცკისამ ბ-ნმა შატკოვსკიმ და სუხოდოლსკიმ. ხალხი ვაორიანად დაესწრო.

## ანეკდოტები ბისმარკის შესახებ.

ბისმარკს ქაღალდის თამაშობა არ უყვარდა და არც დრო ჰქონდა ხოლმე. მაგრამ 1865 წ. „Quinze“-ს თამაშობა დაიწყო—უფრო-კი პოლიტიკურის აზრით.

— ეს იმ დროს იყო, —უამბობდა 1870 წ. ვერსალში მორიც ბუშსა და სხვებს, —როდესაც ჰასტეინში მოლაპარაკება მქონდა ბლომთან.. თუმცა არასოდეს არ ვთამაშობ, მაინც ამ ჟამად ისეთის გაბედულობით ვთამაშობდი, რომ ყველას უკვირდა. მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რას ვჩადიოდი. ბლომა ფიქრობდა, რომ „Quinze“-ს თამაშობის დროს ძალიან ადვილი შესატყობია ადამიანის ხასიათიო და ჩემი გამოცდა სურდა. კარგი, ვამბობდი ჩემთვის, გამომცადე! რამდენიმე ასი ტალერი წავაგე, მაგრამ ამითი თითონ ბლომა წავიტყუე. ამის შემდეგ ბლომი დარწმუნდა, რომ მე არას დავზოგავდი ამ თამაშობაში და უკან დაიხია.

—

კენიგგრეცში მომხდარ ბრძოლის დროს პრუსიის მეფე მთელს დღეს დიდს საფრთხეში იყო, თავზედ ტყვიის სეტყვა დასწუწუნებდა. ყველა, ვინც გარს ეხვია, კარგად ჰხედავდა მეფის გაწირვას, მაგრამ გაფრთხილებას ვერავინ ჰბედავდა. ბოლოს, როგორც იყო, ბისმარკი მივიდა მეფესთან და დარბაისლურის კილოთი დაუწყო: თქვენო უდიდებულესობავ, როგორც უბრალო მაიორს, მე არ შემიძლიან, რაიმე რჩევა მოგცეთ ბრძოლის ველზედ, მაგრამ როგორც მინისტრს იმის უფლება-კი მაქვს, რომ გაგაფრთხილოთ, ერიდოს თქვენი უდიდებულესობა ასეთს პირდაპირს საფრთხეს.—და მეფეც დასთანხმდა და მინისტრის რჩევით უფრო უშიშარი ადგილი დაიჭირა.

—

ჟულ ფავრისა და ბისმარკის მოლაპარაკებას სამხედრო კონტრიბუციის შესახებ, სხვათა შორის, დაესწრო ბისმარკის მიერ მიწვეული ბანკირი გერსონ ფონ-ბლეიხრედერი. ფავრი მეტად მღელვარებდა ხუთის მილლიონის კონტრიბუციას მოთხოვნის გამო და, რომ დაემტკიცებინა, რამდენად შეუძლებელია ასეთის კონტრიბუციის გადახდა, წამოიძახა:

— არა, თუნდაც ქრისტეს დაბადებიდგან დაიწყოთ და დღევანდლამდე სთვალოთ, მაინც ამ ციფრამდის ვერ მიაღწევთო.

— ო, ნუ სწუხართო, —მიუგო ბისმარკმა. აი, სწორედ ამისათვის მოვიწვიე ეს ბატონი, და ბლეიხრედერზედ მიუთითა, —ეს სწორედ ქვეყნის შექმნიდგან ითვლისო.

—

ფერრიერში ტიერის ნახვის დროს ბისმარკი ფრანგულად ლაპარაკობდა. „მაგრამ ვუთხარით, —ამბობდა კანცლერი, —რომ ფრანგულად სრულებით არ ვილაპარაკებდი, ჩვენი შეხვედრა რომ ოფიციალურის ხასიათისა იყოსო“. ტიერმა გაიხარხარა. მაგრამ მე შევნიშნე: აი, მშვიდობიანობის ჩამოგდების დროს დარწმუნდებით, რომ ჩვენ გერმანულად ვლაპარაკობთო“.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მე 60 №-ში დაბეჭდილია მცირე წერილი ბ. სვ. ჯუღელისა, რომ-

ლითაც ავტორი გვაუწყებს, რომ იგი შეუდგა დოქტორის ჰეიდამის წიგნის: „Сохраненіе здоровья, или общая гигіена въ примѣненіи къ обыденной жизни“-ს თარგმნას და აფრთხილებს სხვებს, რომ მათ აღარ სთარგმნონ. ჩვენ ჩვენის მხრივ გთხოვთ პატივცემულს მთარგმნელს გადაათვალიეროს გაზეთი „მეურნის“ ამ ორის უკანასკნელის წლის ნომრები და იქ ნახავს, რომ ჰეიდამის წიგნავი უკვე თარგმნილი და დასტამბულია; ხოლო რაც შეეხება იმის ცალკე წიგნად გამოცემას, განზრახვა მაქვს ამ ზამთრულზედ ვისმეს გამოვაცემინო ზოგიერთა ადგილების შეცვლით და დამატებით

დ—რი ი. თიკანაძე.
პეტერბურგი.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „ივერიის“ საშუალებით დაუდალავს მოღვაწეს ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს ფოთის ახალგაზდობის უღრმესი მწუხარება გამოუცხადოთ უცაბედის შემთხვევით ქალის დაკარგვისა გამო. მისს ჯან-მრთელად ყოფნას ღმერთს შესთხოვენ მხურვალე ლოცვით.

ვარდენ ყიფიანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 აპრილი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ დაათვალიერეს არხეოლოგიური გამოფენა.

გაზეთებს შეუტყვიათ, რომ ყუბანის მხარეში სავალდებულოდ გაუხდიათ ყაზახებისათვის პირველ-დაწყებითი სწავლა.

„ნოვოსტ“-ებს ატყობინებენ ლოძიდან, რომ იქაური ქარხნების საქმე შემდგარა; ქარხნებს შეუმცირებიათ მუშაობა ერთის მეოთხედის ვადით.

„ბირჟის უწყებები“ ამბობენ, რომ გუშინდელ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზედ ერთხმად მიღებულ იქნა ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი, იმის გამო, რომ ნება დართულ იყვეს ყოველგვარი აღებ-მიცემობა ოქროთი იქნეს. მინისტრის ვიტტეს სიტყვა, რომელიც საათ ნახევარს განეგრძო ისეთი ცხადი და დასაჯერებელი იყო, რომ ყველასაგან აღიარებულ იქნა. მაღალ ზნეობრივი და ეჭვ გარეშე სასარგებლო მნიშვნელობა ამ დიად თვალსაჩინო საფინანსო ღონისძიებისა, რომელიც პირველი ნაბიჯია რუსეთში ოქროს ფულის დამკვიდრებისა.

**უგლიჩი.** ვოლგაზედ ყინული მოლხვა და დაიძრა.

**ლონდონი.** შანჰაიდან იწერებიან, რომ იაპონელები უარს არიან გამოაქვეყნონ ზავის პირობანი, ვიდრე თვით მორიგება არ იქნება დამტკიცებული. იოკაჰამიდან იუწყებიან, რომ ზავის დამტკიცება სამის კვირის განმავალობაში დასრულდება.

## შეცდომის გასწორება.

—

გუშინდელს ნომერში ბირჟის ანგარიშში შეცდომით ქუთაისის ბანკის 5% გირავნობის ფურცლები არის ნაჩვენები გასყიდულად, ნამდვილად-კი ტფილისის ბანკისაა გაყიდული.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინსა ნავასარდიანი.**

(857—1468)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილაისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |



დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—ა)



ქართველთა ამხანაგობისაგან.

პასუხად ქუთაისიდგან მიღებულის წერილისა და ყოველთა საცნობლად ვაცხადებთ, რომ **თ. აკაკი წერეთლის უკვე დაბეჭდილისა და დაუბეჭდავის ნაწერების ცალკე გამოცემა შესყიდული აქვს ქართველთა ამხანაგობას 1892 წ. ოქ**ტომბრის 16-ს ნოტარიუსის წესით ხელ-შეკრულობის ძალით. **ვინც ამხანაგობის ნება-დაურთველად გამოსცემს ზემო-ხსენებულის ავტორის ნაწერებს, სამოქალაქო პასუხის გებაში მიეცემა.**



მეფე დავით აღმაშენებელი

**და იმისი დრო**

ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
**ფასი ორი აბაზი**



ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

**თ. რაფიელ ერისთავის**

# თხზულებანი

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.



L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს. (40—2)



ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

**ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა**

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (**кастор. масло**), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვეპირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის საავთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუდდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—6).



საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**

წიგნი შეიცავს 600-მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**სამჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის კრებული**

სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.


Дозвено цензурою, Тифлисъ 7-го Апрѣля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე